№ 91 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, 25 აპრილი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

სამშაბათს, აპრილის 27-ს, ზ. ფალიაშვილის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი".

ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი ,,ზაზა''. პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. ,,რიგოლეტო''. II. ,,ქორწილი მოლოროსიაში''. შაბათს, მაისის 1, ოპერა მუშებ. ტ საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო ტ კოტე".

ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია

ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე. 754 7—2

მთავრობის მიერ დანიშნული მცხეთაში მოსულ რუს მოხალისეთა და ლტოლვილთა ქონების ჩამომრთმევი კომისია

განაგრძობს მიღებას ყოველი მომართვის, თხოვნისა და შეკითხვებს პირველ მაისამდის, რის შემდეგ კომისია დაიხურება. მსურველთ შეუძლიან მიმართონ კომისიის მდივანს—სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება კ. დ. ვაშაკიძეს, ბარიათინის ქუჩა № 10.
757 2—2

ტფილისის ქალაქის გამგეობას

ესაჭიროება

1. სტატისტიკურ ბიუროს გამგე
2. საადრესო ბიუროს გამგე.
და 3. მიწა-იჯარის საქმის მწარმოებელი.

მსურველთ უნდა წარმოადგინონ თავისი Curriculum vitae ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში. აქვე შეიძლება მიიღონ ყოველგვარი ცნობები. 462 2—1

ნოე ნიკოლოზის ძის

ჟორდანიას

სრული თხზულებათა კრებულის გამოცემას შეუდგა

„ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა".

ამა წლის მაისიდან

დაწყებული დაიბეჭდება თვეში არა ნაკლებ ერთი ტომისა.

სულ გამოვა 15 ტომამდის.

წიგნები დაიბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე ლამაზათ, თითო ტომი იქნება 300 გვერდამდის და ეღირება არა ნაკლებ 55 მანეთისა.

კრებული დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. მიიღებენ მხოლოდ ხელის მომწერლები.

მიიღება ხელის მოწერა.

ხელის მომწერლებმა უნდა წერილობით აცნობონ გამომცემლობას, თუ რამდენი წიგნის მიღება სურთ. უნდა გადმოგზავნონ ფოსტით თითო ცალ წიგნზე 30 მან. და გარკვევით მოიწერონ თავისი მისამართი.

გამოცემული წიგნები ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ გამომცემლობის მიერ დარჩენილი ფულის ფას დადებით.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა", რუსთაველის პრ., № 26. ტელ. № 4—73.
776 3—1

ოფიციალური განყოფილება

კანონი

რესპუბლიკის საპყრობილეთა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან რესპუბლიკის საპყრობილეთა შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ კანონთან დართული ნუსხის თანახმად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ოცდაჩვიდმეტი მილიონი ჩვიდმეტი ათას სამას თექვსმეტი მან. (37.017.316 მან.) და 65 კაპ.

3. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაშივე ერთდროულად სამასი ათასი (300,000) მანეთი რესპუბლიკის საპყრობილეთათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად.

4. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 4-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

5. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ფოთის მეზღვაურთა სკოლისა.

№№ რიგზე.	თანამდებობა.	მოსამსახურეთა რიცხვი.	გაკვეთილების რაოდენობა.	თვიური ჯამაგირი.	ყველას წლიური ჯამ.
1	სკოლის უფროსი	1	—	4200	50400
2	კლასთა ინსპექტორი, იგივე უფროსი თანაშემწე	1	—	3000	36000
3	ადიუტანტი, იგივე სკოლის საქმის მწარმოებელი	1	—	2400	28800
	მასწავლებელნი.				
4	ზოგად განათლების საგნებისა: მათემატიკისა, ქართული ენისა და ლიტერატურისა, ინგლისური ენისა, ისტორიისა, საკომერციო გეოგრაფიისა, ჰიგიენისა, სამხედრო წყობისა	—	33	—	29700
5	სპეციალი საგნებისა: ასტრონომიისა, ნაოსნობისა, ლოციისა, დივიაციისა, საზღვაო პრაქტიკისა, ხომალდ-გემებისა, ნაშენობის თეორიისა, მეტეოროლოგიისა, ოკეანოგრაფიისა, ტაკელაჟის ხელსაქმისა, საორთქმავლო მექანიკისა, სჯულმეტყველებისა, ზღვათა ომის ხელოვნებისა, სახომალდო და საბარგო ანგარიშისა, საკომერციო კორესპონდენციისა	—	78	—	93600
6	დარაჯი	1	—	1600	19200
7	სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	—	—	—	60000
	სულ	4	—	—	317700

1920 წ. აპრილის 8-ს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

შტატი

იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

§§	მუხლი.	თანამდებობათა სახელწოდება და ხარჯი.	რიცხვი.	თვიურად ერთს.	თვიურად ყველას.	წლიურად ერთს.	წლიურად ყველას.
13		**საპყრობილეთა ინსპექცია.**					
	1	**პირადი შემადგენლობის შენახვა**					
		საპყრობილეთა ინსპექტორი	1	4000	4000	48000	48000
		საპყრობილეთა ინსპექტორის უფროსი თანაშემწე	1	3800	3800	45600	45600
		უმცროსი თანაშემწე	1	3300	3300	39600	39600
		მდივანი	1	2500	2500	30000	30000
		საქმის მწარმოებელი	2	2000	2000	24000	48000
		საქმის მწარმოებელის თანაშემწე	2	1500	3000	18000	56000
		ბუჰგალტერი	1	2500	2500	30000	30000
		ბუჰგალტრის თანაშემწე	1	2000	2000	24000	24000
		კანცელარიის მოხელენი	3	1300	3900	15600	46800
		რეგისტრატორი	1	1300	1300	15600	15600
		მანქანაზედ გადამწერი	2	1300	2600	15600	31200
		შიკრიკი	3	1225	3675	14700	44100
		არქიტექტორი	1	3000	3000	36000	36000
		შოფერი	1	2500	2500	30000	30000
		შოფერის თანაშემწე	1	2000	2000	24000	24000
		ინსპექციის განყოფილება ქუთაისში: ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე	1	3300	3300	39600	39000
		მდივანი (იგივე საქმის მწარმოებელი)	1	2500	2500	30000	30000
		ბუჰგალტერი	1	2500	2500	30000	40000
		კანცელარიის მოხელე	2	1155	2310	13860	27720
		მანქანაზედ გადამწერი	1	1155	1155	13860	13860
		შიკრიკი	1	1085	1085	13020	13020
		ტეხნიკი	1	2000	2000	24000	24000
		ჯამი 1 მუხლისა	30	47920	58925	575040	707100
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი ანგარიშის მიხედვით					
		საპყრობილეთა ინსპექციას	—	—	20000	—	240000
		ინსპექციის განყოფილებას ქუთაისში	—	—	7000	—	84000
		ჯამი მე-2 მუხლისა	—	—	27000	—	324000
		ჯამი მე-13 §-ისა	30	47920	85925	575040	1031100
14		სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი ანგარიშის მიხედვით					
	1	საგზაო ხარჯი	—	—	25000	—	300000
		ჯამი 1 მუხლისა	—	—	25000	—	300000
	2	ტელეფონოგრამის და ტელეფონის ხარჯი	—	—	15000	—	180000
		ჯამი მე-2 მუხლისა	—	—	15000	—	180000
	3	ეპიდემიასთან საბრძოლველად	—	—	100000	—	1200000
		ჯამი მე-3 მუხლისა	—	—	100000	—	1200000

4	ტუსაღთა მუშაობის მოსაწყობად . . .	—	—	50000	—	600000
	ჯამი მე-4 მუხლისა . . .	—	—	50000	—	600000
5	ინვენტარის დაგადამზიდავ საშუალებათა შეძენა, შეკეთება და შენახვა .	—	—	50000	—	600000
	ჯამი მე-5 მუხლისა . . .	—	—	50000	—	600000
6	მოხელეთათვის სხვა და სხვა შემთხვევის გამო დახმარების აღმოსაჩენად .	—	—	30000	—	360000
	ჯამი მე-6 მუხლისა . . .	—	—	50000	—	360000
7	მოულოდნელი ხარჯი	—	—	50000	—	600000
	ჯამი მე-7 მუხლისა . .	—	—	50000	—	600000
	ჯამი მე-14 §-ისა	—	—	320000	—	3840000

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინ. საქმეთა სამინისტროში

რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი მოხსენება წარუდგინა მთავრობას:

„რუსეთის კანონების ძალით მუხ. 858—988 ტომი მე-9-ე წიგნი II მცხოვრებთა აღნუსხვა (დაბადება, გარდაცვალება, ჭორწინება) დავალებული ავქვს სასულიერო წოდებას. სასულიერო პირს შეაქვს შესაფერისი ცნობები ეგრედ წოდებულ მეტრიკულ წიგნებში, რაც ერთად ერთი დამამტკიცებელი საბუთია მცხოვრებთა სამოქალაქო მდგომარეობისა.

რევოლიუციამდის სასულიერო წოდება მოვალე იყო ყოველ წლივ წარედგინა სტატისტიკურ კომიტეტში ცნობები, სადაც სდგებოდა საერთო აღნუსხვა მცხოვრებთა. მაგრამ სტატისტიკური კომიტეტის გაუქმების შემდეგ მეტრიკულ წიგნებში შეტანილი ცნობები არავის არ ედგინება და ამ ჟამად საქართველო მოკლებულია მცხოვრებთა აღნუსხვის ყოველ გვარ სტატისტიკას.

ცხადია ის, რომ თანამედროვე სახელმწიფოს სამმართველო ღირსეულად ვერ გაუძღვება რესპუბლიკას თუ მას არ ექნა დამაკმაყოფილებელი სტატისტიკა მცხოვრებთა. გარდა ამისა საქართველოს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შეუძლია დარჩეს ეკლესიასთან ძველ ურთიერთობაში. ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოდან—ეს ჩვენი მორიგ საკითხთაგანია, რაც ახლო მომავალში უნდა საბოლოოდ გადაწყდეს. ეკლესიის ჩამოშორების შემდეგ—მცხოვრებთა აღნუსხვა და რეგისტრაცია ყოვლად შეუძლებელია, რომ სასულიერო წოდებას დაუტოვოთ ბევრ მოსაზრებისა გამო. მცხოვრებთა აღნუსხვას და რეგისტრაციას დიდი სამოქალაქო—უფლებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ეკლესიის ორგანოებს ვერც ვანდობთ და ვერც დავავალებთ.

ევროპის ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის საფრანგეთშიაც მე-18-ე გასულ და მე-19-ე დასაწყისს შემოიღეს სამოქალაქო რეგისტრაცია საეკლესიო რეგისტრაციის მაგიერ. ამ ჟამად ევროპაში საეკლესიო რეგისტრაცია მხოლოდ გამონაკლისს შეადგენს.

აღსანიშნავია ის, რომ ეკლესიის მიერ წარმოებული რეგისტრაცია არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტატისტიკის მეტოდოლოგიას. სტატისტიკას აინტერესებს თვით ფაქტი (დაბადება, გარდაცვლა) და არა საეკლესიო წესები (ნათვლა, დასაფლავება).

ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ დაჩქარებით უნდა მოაწყოს მცხოვრებთა აღნუსხვის და რეგისტრაციის საქმე. ჩვენ მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტით მცხოვრებთა აღნუსხვა ევალება ერობების თვითმართველობებს. (სამაზრო თემი) და ქალაქების თვითმართველობებს. სადაც ასეთები არ არის-სარეგისტრაციო მაგიდები მოეწყობა სარაიონო კომისრებთან.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს მე საჭიროდ მიმაჩნია აქვე წარმოდგენილი კანონ-პროექტით რეგისტრაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვისა დაადასტუროს რესპუბლიკის მთავრობამ“.

აღნუსხვის კანონ-პროექტს შემდეგ ნომერში მოვათსებთ.

დაქფუძნებელი კრება

23 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვ. თაყაიშვილი.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონებისა: 1) ოფიცერთა და ჯარის-კაცთა ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ, 2) სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, 3) საქართველოს მუზეუმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, 4) ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ, 5) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა დამფუძნებელი კრების წევრის გრ. ვეშაპელის მთავრობისადმი შეკითხვა ტყის კანონის შეუსრულებლობის შესახებ.

შეკითხვას ასაბუთებს გრ. ვეშაპელი, რომელსაც მოჰყავს ფაქტები 5 დეკემბრის ტყის კანონის შეუსრულებლობის შესახებ, აღნიშნავს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ინსტრუქციის დაგვიანებით გამოცემას, არჩევს ინსტრუქციის ზოგიერთ მუხლებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლები არსებითად ეწინააღმდეგება ტყის კანონის შინაარსსა, ინსტრუქცია არ ყოფილა გამოქვეყნებული მთავრობის ოფიციალურ ორგანოში, საერთოდ კი ამბობს შემკითხველი, აუცილებლათ უნდა არსებობდეს ინსტრუქციის გამოცემის ერთნაირი წესი და ყველა კანონები, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დაუბრკოლებლივ და სათანადო სისწრაფით უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში.

რ. არხენიძე: (იუსტიციის მინისტრი) მთავრობის სახელით აღნიშნავს ტყის საკითხის მნიშვნელობას, როგორც პოლიტიკურათ ისე საზოგადოებრივი ინტერესების მიხედვით და ითხოვს მიეცეს მთავრობას სათანადო ვადა, რომ ხალხის წინაშე გადაშალოს სურათი იმისა, თუ რა გაკეთებულა ამ დარგში დღემდე.

შეკითხვის არსებითად განხილვა გადაიდო ერთი კვირით.

შემდეგ **კ. ნინიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—დამფუძლებელი კრების ხელოვნების კომისიის განკარგულებაში 300,000 მან. გადადებისა „26 მაისის“ დღესასწაულის მოსაწყობათ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ტფილისის სამხედრო სკოლის საჭიროებისათვის 195,000 მან. დამატებით გადადებისა, დ. ონიაშვილის და **ბ. ტორეშელიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა. დასასრულ თავმჯდომარე აცხადებს, რომ კვირას, 25 აპრილს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება მართავს გამოფენას რუსთაველის პროსპ. № 13 და დეპუტატებს თავიანთი, დამფუძნებელ კრების წევრობის ბილეთით შეუძლიანთ დასწრება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

13 აპრილის სხდომის ოქმი № 6.

1920 წ. დასწრენ: ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან: ფ. ბ. ვექილოვი, ჰ. ბ. აგაევი, ო. ბ. კრიჩინსკი; სომხეთის რესპუბლიკიდან: ა. ი. ოგანჯანიანი, ტ. ა. ბეკზადიანი, ს. ა. ხაჩატურიანი, ს. გ. მამიკონიანი; საქართველოს რესპუბლიკიდან: ე. პ. გეგეჭკორი, გ. თ. მახარაძე. არ დასწრო გ. ს. ლორთქიფანიძე. თავმჯდომარეობს აგაევი.

ა. ი. ოგანჯანიანი: მე პირდაპირ მავთულით ლაპარაკი მქონდა ჩემს მთავრობასთან და შემატყობინეს, რომ ერევნიდან დეპეშა გაუგზავნიათ ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხან-ხოელისათვის. (კითხულობს დეპეშას). „1920 წლის 12 აპრილის დეპეშის პირი. ერევნიდან მინისტრ ოგანჯანოვს. გენ. სერ ტერ-აკოფოვისაგან. დღეს მინისტრთა თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრ ხოელს: „ადერბეიჯანის ჯარების მოქმედება უკანასკნელ დღეებში აზახის მაზრის საზღვრებში სრულებით ეწინააღმდეგება გუბერნატორ ხან-ხოელის საზავო განცხადებას და ადგილობრივ სომხურ ადმინისტრაციისა და მის შორის მომხდარ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ყოველგვარი მტრული მოქმედება უნდა შეწყვეტილიყო 10 აპრილის დილის 10 საათისათვის მაშინ, როდესაც 10 აპრილიდან ზარბაზნებიდან ესვრიან ს. ფ. ტატლუს, ესვრიან ლალკენდს, კოტკენდში ბრძოლაა. სომხეთის ყველა სახლვრებზე შენიშნულია ადერბეიჯანის ჯარების გაძლიერებული შეჯგუფება და ხდება სასწრაფოთ სამხედრო მზადება, მაშინ როდესაც სამივე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობის დელეგატები მოვიდნენ ტფილისში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ გთხოვთ დაუყონებლივ უბრძანოთ რათა მათ შესწყვიტონ უწესოებანი და მტრული მოქმედებანი და სასწრაფოთ განგვიმარტოთ მიზეზი ჯარების შეჯგუფებისა და ადერბეიჯანის სამხედრო მზადებისა სომხეთის საზღვარზე. ყარაბახის საკითხის შესახებ ჩემი მთავრობა განუწყვეტლივ ღებულობს სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილიდან აღნიშნულ რაიონში მომხდარ ამბების გამო აღელვებისა და აღშფოთების განცხადებებს.

ყველასათვის აუცილებელი საჭიროა ზავისა და კონფერენციის უზრუნველყოფა, რომლის წინადადება თქვენ თითონ მოგვეცით, გთხოვთ დაბოლოს გვიპასუხოთ, როგორია ჩვენი დამოკიდებულებანი და რა მიზნები აქვს ზემო აღნიშნულ მთავრობას ყველა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ჩემი მთავრობა რჩება 12 აპრილს, № 2298 შეთანხმების თვალსაზრისზე. გენ. ტერ-აკოპოვი. ამას გარდა მე შემატყობინეს, რომ მთავრობამ გასცა განკარგულება სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. გასცა თუ არა აგრეთვე განკარგულება თქვენმა მთავრობამ.

ვ. ა. აგაევი. ჩვენმა მთავრობამაც სამხედრო მოქმედების შესაწყვეტათ უკვე გასცა განკარგულება, კითხულობენ და ამტკიცებენ 9 აპრილის ოქმს. კითხულობენ კონფერენციის დაადგენილებას სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. კითხულობენ მეორე და მესამე დადგენილებებს.

სულ უკანასკნელზე ადრე გამოტანილ დადგენილების შესახებ ადერბეიჯანის დელეგაციის წევრ კრიჩინსკის განცხადებაა შემოტანილი. (კითხულობს) დელეგატ ბ. კრიჩინსკის განცხადება 1920 წლის 13 აპრილის სხდომაზე: 1920 წლის 12 აპრილს კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციის გამო უფლებრივ სტატუსის აღდგენის აუცილებლობის შესახებ ეროვნულ საბჭოების სათანადო მთავრობებთან შეთანხმების ნიადაგზე, ადერბეიჯანის დელეგაცია გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად თავის ვალდებულებად სთვლის განაცხადოს, რომ იმ უფლებრივი მდგომარეობას, რომელიც 1919 წ. 22 აგვისტოს აქტიდ ნ გამომდინარეობს, მივყევართ ყარაბახის ზოგიერთ ნაწილის ადერბეიჯანის მთავრობისადმი დამოკიდებულების დამყარებამდე განსაზღვრულ ტერიტორიალურ საზღვრებში, რომელნიც თუ ამ ჟამად მომხდარ შეტაკების გამო დარღვეულია აღნიშნული ნიშნულ რეზოლიუციის თანახმად უნდა აღდგენილ იქნეს.

ფ. ა. ბეკზადიანი. პირველად ყოვლისა მე უდროოდ მიმაჩნია განცხადების შეტანა უკვე მიღებულ დადგენილებაში.

ე. პ. კეგეჭკორი. მე ვითხოვ ამ საკითხის მოსპობას და გადაწყვეტილების პრესაში გადაცემას, რადგან იგი უკვე მიღებულია. ეს განცხადება კი დღევანდელი განხილვის საგნათ ჩავთვალოთ.

კრიჩინსკი მოითხოვს, რომ ეს დადგენილება ჯერ არ დაიბეჭდოს. ეს იმიტომ უნდა მოხდეს, რომ არ იყოს გაურკვევლობა და ბუნდოვანება მიღებულ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების დროს.

IV. **ხაბჭოს შემადგენლობა.** 4. საბჭო შესდგება რესპუბლიკების 12 დელეგატისაგან. 5. ყოველი რესპუბლიკიდან საბჭოში შედის 4 დელეგატი, აქედან 2 ირჩევს წარმომადგენელთა ყრილობა და ორს ნიშნავს მთავრობა. 6. წარმომადგენელთა ყრილობა და ყოველი რესპუბლიკის მთავრობა ამას გარდა ნიშნავენ დელეგატის ერთს მოადგილეს, განსაზღვრავს წესს, რომლის მიხედვით ეს მოადგილენი დელეგაციის თავმჯდომარის მიერ მიწვეული იქნებიან თავისუფალი ადგილების შესავსებათ. 7. დელეგატები და მათი მოადგილენი ინიშნებიან 1 წლით ან საბჭოს სესიის ვადით: ამ ვადის გათავების შემდეგ მათ უფლება რჩებათ ახლად არჩეულ პირების მიერ მათ შეცვლამდე და ან მათი წინანდელი რწმუნებულების განახლებამდე. 8 საბჭოში შედიან თვის თანამდებობის მიხედვით ყოველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები, მათი დიპლომატიური წარმომადგენლები ამ რესპუბლიკის მთავრობებთან აგრეთვე გარეშე მშვიდობიანობის საქმეთა სამხედრო მინისტრები ან მათი წარმომადგენლები სათანადო მთავრობების დანიშვნით. 9. დელეგატები და მათი მოადგილენი ჯილდოს თავის რესპუბლიკიდან ღებულობენ. 10. დელეგატები და მათი მოადგილენი როგორც ასეთნი, სარგებლობენ ხელშეუხლებლობით, რომლითაც სარგებლობენ იმ რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყრილობის დეპუტატები, რომლის საზღვრებშიც ისინი იმყოფებიან.

V. **ხაბჭოს სესიები.** 11. საბჭო იკრიბება ჩვეულებრივ და საგანგებო სესიებზე. 12. საბჭოს ჩვეულებრივი სესიები რიგრიგობით ხდება ყოველი რესპუბლიკის სატახტო ქალაქში წელიწადში 6 ჯერ. კენტ-თვეებში თითეული ყოველ ოთხ კვირაში. 13. საბჭოს საგანგებო სესიები იკრიბება ქალ. ტფილისში ჩვეულებრივ სესიების შუა ორი რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნით. 14. საბჭოს ჩვეულებრივ სესიის სხდომის ადგილთა რიგი განისაზღვრება რესპუბლიკათა მთავრობის შეთანხმებით და თუ ეს არ იქნება მაშინ კენჭის ყრით, 15. საბჭოს მოწვევა ევალება საგარეო საქმეთა მინისტრს იმ რესპუბლიკის, რომლის სატახტო ქალაქებშიც დანიშნულია სხდომა.

VI. **ხაბჭოს მუშაობის წესრიგი.** საბჭოს თავმჯდომარეობა და მისი საქმეების ხელმძღვანელობა ეკუთვნის იმ რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარეს, სადაც სესიის სხდომები ხდება. 17. საბჭოს სხდომა კანონიერათ იქნება ცნობილი თუ ყოველი რესპუბლიკიდან არა ნაკლებ სამი დელეგატისა დასწრო. 18. საბჭოს ყოველგვარ დადგენილებისათვის საჭიროა ყველა რესპუბლიკის დელეგაციათა თანხმობა. 19. ყოველი რესპუბლიკის დელეგატს საბჭოში ერთი ხმა აქვს. 20 საბჭოს უფლება აქვს თავის სხდომებზე მოიწვიოს ექსპერტები მათი დასკვნის მოსასმენლად. 21. საერთო წესით საბჭოს სხდომები საჯარო ხასიათის იქნება. ამ წესიდან გამორიცხვა შესაძლებელია ყოველ კერძო შემთხვევაში ამის შესახებ საბჭოს დადგენილების თანახმად. 22. დადგენილება საბჭოს დაწვრილებითი საქმის წარმოების შესახებ წარმოადგენს თვით საბჭოს მიერ გამომუშავებულ „ნაკაზის“ საგანს. VII. საბჭოს დებულების გადასინჯვის შესახებ. 23. საბჭოს ამა დებულების მუხლების დამატება და შეცვლა თვით საბჭოზეა დამოკიდებული.

VIII. **ხაბჭოს მოქმედების შეწყვეტა.** 24. საბჭო სწყვეტს თავის მოქმედებას ამის შესახებ მის მიერ სათანადო დადგენილების გამოტანის, ან და რომელიმე რესპუბლიკის მიერ მაში მონაწილეობის მიღებაზე უარის განცხადების შემდეგ.

ჩემ მიერ წამოყენებულ საბჭოს პროექტის უმთავრეს მიზანს შეადგენს სამი რესპუბლიკის დაახლოვება იმ საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის ნიადაგზე, რომელიც მათ საერთო ინტერესებს ეხება.

გ. ბ. აგაევი: ვის სურს ამ საკითხის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა? საერთო ორგანოს შექმნის საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამცვლის შემდეგ როდესაც ირკვევა, რომ ამ იდეას ყველა ერთსულოვნად მხარს უჭერს, კონფერენცია ადგენს: მოხსენების შესახებ არსებითი მსჯელობა იქონიონ მას შემდეგ, როდესაც უფრო დაწვრილებით გაეცნობიან ბ-ნ კრიჩინსკის პროექტს. სხდომა იხურება. თავმჯდომარე აგაევი.

უცხოეთი

საფრანგეთი და ხაბჭოთა რუსეთი.

კოპენჰაგენში გაემგზავრენ საფრანგეთის წარმომადგენელნი: გალგუე, დე-შევილი და მიუსი. ისინი შეხვდებიან რუსეთის დელეგაციას, რომლის მეთაურად არის კრასინი. საფრანგეთის და რუსეთის დელეგაციების შეხვედრა დაკავშირებულია კოოპერატიულ საკითხთან.

სურსათი იტალიაში.

იტალიაში მთავრობის მიერ გამოცემულია სურსათის შესახებ რეგლამენტაცია. ოთხშაბათობით და პარასკევობით აკრძალულია ხორცით ვაჭრობა. რესტორანებს ნება არა აქვთ სადილი გააკეთონ ხუთ თავზე მეტი.

რუსეთის ლტოლვილნი.

საბერძნეთის პრესის გადმოცემით რუსეთის ლტოლვილნი პრინკევის კუნძულებიდან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყვანილნი იქნებიან კუნძულ ლემნასზე. ლტოლვილთა ევაკუაცია მოხდება მაისის პირველ რიცხვებიდან.

უკრაინის კონფერენცია.

ვარშავაში დაიხურა უკრაინელების სოც.-დემოკრ. კონფერენცია. კონფერენციამ გამოიმუშავა საზავო საკითხები საბჭოთა რუსეთთან.

მდგომარეობა პეტროგრადში.

ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით პეტროგრადში დღევანდელ მძიმე მდგომარეობის გამო, (უსურსაბრობა განსაკუთრებით და სხვა) სიკვდილი მეტად გახშირებულია. იანვარში სხვა და სხვა სენისგან გარდაცვლილან—40000 სული, თებერვალში—60000 სული.

ჩინეთის კომუნისტები.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ საბჭოთა რუსეთის ჯარში ყოფილან ჩინეთის ზოგიერთი კომუნისტები. ეს კომუნისტები რეგულიარულად გზავნიან ჩინეთში თავის პროპაგანდისტებს ბოლშევიზმის გასავრცელებლად.

სან-რემოს კონფერენცია.

უმაღლესი საბჭო ლორდ კერზონის, ნიტტის და ლლოიდ ჯორჯის მონაწილეობით სან-რემოს კონფერენციაზე იმუშავებს ოსმალეთის საკითხს.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი. რომში, საბჭოს თავმჯდომარე ნიტის 21 აპრ. ნოვოროსიისკის ნავთსადგურში შემოვიდა იტალიის კრეისერი, რომლის კაპიტანი დე-მარტინი აცხადებს, რომ იგი მოვიდა ფოთიდან სან-რემოდან მიღებულ ბრძანების თანახმად იმ მიზნით, რომ წინასწარი მოლაპარაკება დაიწყოს იტალიასა და საბჭოთა მთავრობის შორის ოფიციალურ დამოკიდებულების გასაახლებლად. კაპიტანი აღნიშნავს, რომ მას მინიჭებული აქვს უფლება რადიო სადგურით თავის მთავრობასთან ექნეს დამოკიდებულება. რადგანაც კაპიტანი დე-მარტინს არავითარი საბუთი არა აქვს თავისი მისიის სინამდვილის დამამტკიცებელი, ამიტომ გთხოვთ კაპიტან დე-მარტინის რწმუნებულება დაადასტუროთ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი. კოპენჰაგენში მყოფ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელ ლიტვინოვისაგან ჩიჩერინმა 21 აპრილს მიიღო რადიო ცნობა, რომლითაც ლიტვინოვი იტყობინება, რომ მან საფრანგეთისა და ბელგიის დელეგატებთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ. დელეგატებმა საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობის სახელით ოფიციალურად განაცხადეს, რომ საფრანგეთი და ბელგია ვალდებულად სთვლიან თავის თავს არ ჩაერიონ საბჭოთა მთავრობის შინაურ პოლიტიკაში და არავითარი აგრესიული ზომები არ მიიღონ საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ.

სამხედრო ცნობა.

23 აპრ. მოზირის რაიონში ბერეზინის მარჯვენა ნაპირზე ზარბაზნებით სროლა სწარმოებს. ლეტიჩევის რაიონში მტრის შემოტევა, ლეტიჩევის სამხრეთით 25 ვერსზე ჩვენი ცეცხლით უკუვაგდეთ. პერეკოპის ყელზე მტერმა ჩვენს პოზიციებზე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. დანიის პრესის ცნობით გერმანიაში სულ მოკლე ხანში აჯანყება მოხდება. გენერალი ლიუტვიცი და ერგარტი დაუჭერელნი არიან. გაფიცვები თანდათან ძლიერდება. მუშები საბჭოების აღიარებას მოითხოვენ. ოცდაათ ბამბის სართავ ფაბრიკაში 90000 მუშა გაიფიცა. პარლამენტში სოციალისტებმა გადასწყიტეს ბამბის მრეწველობის სოციალიზაციის მოხდენა მოითხოვონ.

ფრანგული პრესა.

ხუთშაბათ დილით უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამხედრო და საზღვაო ექსპერტების აზრი სტრუტეების მართველობის შესახებ და მოიწონა ოსმალეთთან დასადებ ხელშეკრულობაში იმ პირობების შეტანა, რომელნიც ამ საკითხებს ეხება. დღის სხდომაზე უმაღლესი საბჭო განაგრძობდა ოსმალეთის ხელშეკრულობის ტერიტორიალურ პირობების საკითხის განხილვას. დასახულია ევროპის საზღვრები. შემდეგ ისევ სომხეთის საკითხის განხილვას შეუდგნენ.

მოუსმინეს პოლოს—ნუბარ ფაშას, რომელმაც საბჭოს გააცნო სომხეთის დელეგატების თვალსაზრისი.

გუშინ უმაღლესმა სასამართლომ ქოზეფ კაიას საქმის შესახებ აზრი გამოსთქვა. სასამართლომ გადასწყვიტა ყოფილ საბჭოს თავმჯდომარეს მიმართ სისხლის სამართლის 78 მუხლით ისარგებლოს და აღიაროს დანაშაულობის შესამსუბუქებელი გარემოება. კაის 5 წლის ციხეში ჯდომა მოელის. პარასკევს სასამართლო თავის საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ბრიუსელიდან იუწყებიან: პარასკევს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყება საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკება ლიუქსენბურგის რკინის გზის შესახებ.

20 აპრილს კოპენჰაგენში მყოფმა საფრანგეთის მთავრობის დელეგატმა ლიტვინოვთან ორ შეთანხმებას მოაწერა ხელი, რუსეთში მყოფ ფრანგების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. პირველი შეთანხმების თანახმად 125 ქალი და ბავშვი დაუყონებლივ გადაყვანილი უნდა იქნენ ფინეთის საზღვართან იმ 3000 რუსის სამაგიეროთ, რომელსაც საფრანგეთი ადესაში მიიყვანს. მეორე შეთანხმებით ყველა დანარჩენ ფრანგს შეძლება მიეცემა სამშობლოში დაბრუნებისა შავი ზღვით 3 თვის განმავლობაში. საბჭოთა მთავრობამ ეს შეღავათი უნდა გაავრცელოს ყველა ფრანგზე, რომელთაც აქამდე რუსეთში სდევნიდენ. დანშაველებს გაანთავისუფლებენ. ყველა რუსის ჯარისკაცს, რომელნიც რესპუბლიკის ან საბჭოთა ტერიტორიაზე იმყოფებოდა, იმავე ხნის განმავლობაში ოდესაში მიიყვანენ.

ინგლისური პრესა.

(კარნაფონიდან. დასაწყისი არ მიგვიაღია) იტალიელი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ აქ შეიძლება იყოს შეხედულებათა სხვა და სხვაობა, მაგრამ აქ არ არის უთანხმოება და იგი არც არასოდეს იქნება. საფრანგეთი და იტალია დაინტერესებულია ევროპაში ხანგრძლივი ზავის დამყარებაში. ამას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ გერმანიის საჩქარო გაბიარაღებით. თუ გერმანია შეიარაღებული დარჩა, მაშინ სხვა სახელმწიფოებმა სამხედრო მდგომარეობის მთელი სიმძიმე უნდა იტვირთონ. ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ ზავისადმი ხელის შეწყობა. გერმანიამ მოკავშირეებს სამი ნოტით მიმართა. ამ ნოტებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მესამე ნოტა, რომელიც გერმანიის ჯარის პირად შემადგენლობას შეეხება... საფრანგეთის თვალსაზრისი მეტად მარტივია. როდესაც გერმანია აცხადებს, რომ მას არა აქვს ფული და ნახშირის მოტანა არ შეუძლია, ეშეიძლება, რომ დავუჯეროთ, მაგრამ თუ იგი უარს ამბობს ჰაეროპლანების გადმოცემისა და ჯარის შემცირების შესახებ დადებულ პირობების აღსრულებაზე, მას აშკარად ბრალი უნდა დავსდოთ არა კეთილსინდისიერებაში.

სხვა და სხვა

✦ დღეს, აპრილის 25-ს, დიდების ტაძარში ქართულ საისტორიო და ეთნოგრაფიულ საზოგადოების ინიციატივით გაიხსნება ძველი ქართულ ხუროთ მოძღვრების ნიმუშების გამოფენა.

✦ სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელნი დღეს, აპრილის 25-ს, ჯალალ-ოღლში გზავნიან 300 ობოლ ბავშვს. მათ გარდა იგივე წარმომადგენლობა გზავნის სომხეთში 400 ლტოლვილ სომეხს.

✦ სახაზინო რკინის გზის მმართველობამ აფეთქებულ კინტრიშის ხიდის შესაკეთებლად გაგზავნა საუკეთესო სპეციალი პირები.

✦ განათლების მინისტრის განკარგულებით რესპუბლიკის ყველა სასწავლებელში სწავლა დამთავრდება ივნისის 12-ს.

✦ გუშინ, აპრილის 24, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომად. კონფერენციამ გაგზავნა სომხეთში კომისია შემდეგი პირებისაგან: ს. ივ. რამიშვილი, ქოსა-ბეგ სულთანოვი და არტ. აბეგიანი.

✦ ხელოვანთა ცენტრმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ იმ კლუბებს, სადაც ლოტოს თამაშობენ და შემოსავლიდან გადადებულია პროცენტები სხვა და სხვა სამხატვრო წრეებისთვის—გაუგრძელდეს დახურვის ვადა.

✦ 24 აპრილიდან გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები ათასი მანეთის ღირებულებისა.

✦ 1 მარტს ქალაქის საავადმყოფოში ყოფილა 60 სხვა და სხვა სენით ავადმყოფი. შემდეგ მიღებული ყოფილი 119 კაცი. გამოწერილა—12. გარდაიცვალა—5. პირველ აპრილს საავადმყოფოში დარჩენილა 60 სხვა და სხვა სენით ავადმყოფი. შემდეგ მიუღიათ—57. გამოწერილა 45, გარდაცვლილა—10. 15 აპრილს საავადმყოფოში დარჩენილა ავადმყოფი სულ—70 სული.

✦ ფინანსთა სამინისტრო იხილავს გამესხებელ დაწესებულებათა ზედამხედველობის წესს. ეს განხილვა გამოწვეულია ზოგიერთ ბანკების სპეკულიატიური მოქმედების გამო.

✦ ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს საბჭოში არჩეულ იქნა კომისია, რომელშიც, მონაწილეობას იღებენ ექსპერტები და სპეციალი პირები. კომისია განიხილავს საქართველოს სამთო-მანდო წესდებას.

✦ დამფუძნებელ კრების საფინანსო-სა. ბიუჯეტო კომისიამ განიხილა 1919—20 წლის ბიუჯეტის გასავალი. ახლო მომავალში განხილული იქნება შემოსავალის რაოდენობა რის შემდეგაც ბიუჯეტი დამფუძნებელ კრებას გადაეცემა განსახილველად.

✦ დამფუძნებელ კრების აგრარულ კომისიაში მიწათ-მოქმედების მინისტრმა წარადგინა პროექტი 2,172,409 მ. გადადების შესახებ ტფილისის აბანოების ყოფილ მესაკუთრეთა და ანანოვის დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ჩამოერთვა „ვარციხის“ მამულის ინვენტარი.

✦ გამოვიდა „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი ნომერი (№ 15) ჟურნალში მოთავსებულია მრავალი წერილი ხელოვნების შესახებ. სხვათა შორის ჟურნალში დაბეჭდილია, პიესა „საშინელი შურის ძიება ანუ შვილი თუ სიყვარული“ შ. დადიანისა და მიხ. ქორელისა. ღირს 15 მანეთი.

✦ ჩვენ სარწმუნო წყაროდან მივიღეთ ცნობა, რომ ჩაიკინი არ ითვლება შავი ზღვის გუბერნიის გლეხთა განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრათ და არც სოხუმის ოლქში არის ამ კომიტეტის წარმომადგენლებად.

✦ სოფელ ცაიშში (ზუგდიდის მაზ.) რომელიც შორავს ზუგდიდის კანტორას 10 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

სახელმწიფო გამოცდები.

სიბრძნის მეტყველების ან ისტორიულ ფილოლოგიურ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა საყურადღებოთ.

სახელმწიფო გამოცდების კომისია განმეორებით აცხადებს, რომ სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილების თანახმად მიმდინარე 1920 წ. მაისის შუა რიცხვებში სახელმწიფო გამოცდები დაიწყება. მსურველთ უნდა მაისის ათამდე სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში კომისიის თავმჯდომარის სახელობაზე თხოვნა შეიტანონ (სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან 9-2 ს.). თხოვნას უნდა თან დართული ჰქონდეს: ა) მოწმობა რომელსამე უნივერსიტეტში 8 სემესტრის მოსმენის შესახებ, ბ) მოწმობა უნივერსიტეტში შესწავლილ საგნებში გამოცდების ჩაბარების შესახებ, და გ) 250 მანეთი. ვისაც რვა სემესტრი გავლილი არა აქვს სახელმწიფო გამოცდების დაჭერა კი ჰსურს, იმან თავის საქმის გამოსარკვევად ან სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარეს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, ან კომისიის მდივანს გ. ნათაძეს უნდა მიჰმართოს.

მიწის ძვრისაგან

დაზარალებულთა სასარგებლოთ.

სალნალის სამაზრო ერობამ მიიღო შემოწირულება შემდეგი თემებიდან: 1) მაღაროს თემის გამგეობისაგან ორდ. № 304—5.350 მან., 2) სოფ. ყანლაურიდან ორდ. № 338—2.717 მ., 3) საქობოს ბგამგ. ორდ. 344—7 ათას 24 მ., 4) ტიბაანის ორდ. № 349—5 ათას 193 მ., 5) ვეჯინის ორდ. № 356—5.242 მ., 6) ვეჯინის შემნახ. ამხ. და კოოპერ. ორდ. № 357—10.000 მ., 7) ბოდბისხევის თემის გამგეობ. ორდ. 358—8.244 მ. 40 კ., 8) ახალი ალექს. სასწავლ. გამგ. ორდ. № 364—157 მ., 9) კარდენახის თემ. გამგ. ორდ. № 367—2,780 მ., 10) ბაკურციხის თემის კასის გარ. ორდ. № 33—8,000 მ., 11) კაკაბეთის თემ. კას. გარ. 4.839 მ., 12) ვარდისუბნის თემ. გამგ. ორდ. № 36—13.703 მ., 13) ზ. მაჩხაანის თემ. გამგ. 1.472 მან., 14) ჭაბუკიანის თემ. გამგ. ორდ. № 40—7.282 მ., 15) ქვ. მაჩხაანის თემ. გამგ. 10.433 მან. სულ—117.462 მ. 40 კაპ.

— **საგარეჯოს სამომრიგებლო სასამართლოს მოხელეთაგან** გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. სია შემომწირველთა: ნ. ბერძნიშვილმა და დ. მჭედლიშვილმა ას-ასი მ., ბ. ხურციძე, ს. ხატიშვილი, ო. კავთუაშვილი, ნ. ლაფავიშვილი, ლ. ჯაბადარი ორმოცდაათ-ორმოცდაათი მან.

— **გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორამ** მიიღო ონის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 1.272 მ. სია შემომწირველთა: 1. მალაქია ჯაფარიძე 189 მ., 2. მათე გორდეზიანი 137 მ. 3. ნინო ბაქრაძე 138 მ. 4. ანთიმოზ მაისურაძე 138 მ. 5. აფრასიონ მეტრეველი 142 მ. 6. ნადეჟდა იაკუბოვიჩი 144 მ. 7. ზინაიდა ჯაფარიძისა 129 მ. 8. ანნა ფოფხაძისა 117 მ. 9. ფედოსია გორდეზიანი 37 მ. 10. მარიამ ჯაფარიძისა 46 მ. 11. კონსტანტინე ჯაფარიძე 40 მ. 12. მალაქია გორდეზიანი 47 მ.

— **ხიდისთავის** უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთა ინიციატივით შეგროვილი 5.686 მან.; ამ თანხიდან 4.900 მანეთი შემოვიდა მოწაფეთა მიერ გამართულ წარმოდგენიდან, ხოლო დანარჩენი შემოსწირეს: ქ. კალანდაძემ 300 მ., ს. ბოლქვაძემ, კ. ჭანიშვილმა, ს. თედორაძემ, ვ. კალანდაძემ და გ. კალანდაძემ თითომ ასი მანეთი, გ. ჯიბლაძემ 50 მ. ფული გადაეცა მთავარ კომიტეტს.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტის განყოფილების საქრებულოს 1920 წლ. აპრილის 62 სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე მიხეილ და ნინო დოლუხანოვების ბაგრატ ნავასარდიანთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

2. საქმე მიხეილ და ნინო დოლუხანოვების სერგეი მამალაძესთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

3. საქმე ღენტორ ჩიხლაძისა დიმიტრი ჩხოტიას მიმართ 2.000 მან. თაობაზე.

4. საქმე კონსტანტინე ყურაშკოვისა მიხეილ არონ და ისხაკ ეფრემაშვილების და ბეჭორ მიხაილიშვილის მიმართ მამულის თაობაზე.

5. საქმე ნატალია ბიკოვისა ეგენი ხოხლოვის მიმართ ბინის დაცლის, ბინის ქირის და ავეჯის თაობაზე.

6. საქმე დიომიდე დოლიძისა ნიკოლოზ არლოვის მიმართ მიწის თაობაზე.

მილიციაში

22 აპრილს ქუჩაში მიმავალ ქუთაისის ეპოლის გამგეობის არტელშჩიკს ვინიკის თავს დაესხენ ორი მძარცველი, წაართვეს 50000 მან. და გაიქცენ. ვინიკი დაედევნა მათ და გოლოვინის პროსპექტზე გასვლისას შეიპყრეს ერთი მათგანი, რომელიც აღმოჩნდა ალექსანდრე ანგიძე. მეორეს შესაყრობაზე ზომებია მიღებული.

— 22 აპრილს ტუტუნჯიანცის მაღაზიაში შევიდა უცნობი და მოითხოვა ქალის ორი წყვილი ყელიანი ფეხსაცმელი ღირებული 60000 მანეთის წაიღო და უბრძანა ბიჭს გაჰყოლოდა ფულის მისაღებად. უცნობმა ბავშვი სასახლემდე მიიყვანა. თითონ კი შევიდა სასახლის ეზოში. ლოდინის შემდეგ ბავშვი შევიდა ეზოში და დაეწია მას მეორე კარებთან, სადაც ის გაპარვას აპირებდა. ბავშვმა წაართვა მას ფეხსაცმელები. უცნობი იქვე შეიპყრეს. ის აღმოჩნდა ქუქუთაისის გუბერნ. მცხოვრები გრიგოლ მესხი. იგი პასუხისგებაშია მიცემული.

— ამავე რიცხვში სახელმწიფო კონტროლში ერთ-ერთ მოსამსახურეს განუზრახავს მოსამსახურეთათვის დასარიგებელ ფართლეულობის მოპარვა სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ეს მოსამსახურე არის ანტონ ტერენოვი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა.

მე-8 კომისარიტის კომისარის ს. ბოლქვაძისა და მისი თანაშემწე ა. ჩხაიძის და გ. ნაცვლიშვილის მიერ შეპყრობილ იქნა ორი დიდი ყუთი და ერთი დიდი ტომარა. ხხვა და სხვა სახელმწიფო საქონლით ღირებული 200.000 მანეთამდე. შეპყრობილია რამდენიმე პირი, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოტყდნენ თუ საიდან წამოიღეს საქონელი. კომისარიატი სთხოვს იმ დაწესებულებას სადაც დაიკარგა საქონელი მიმართოს მე-8 კომისარიატს, რაც ბოროტმოქმედებას გახსნაში ხელს შეუწყობს, დატუსაღებულია ცანავა ლავრენტი და ხატიაშვილი, საქონელზე არის კლეიმო: „Братья Осиповы Петроградъ 1914 года.“

როგორც ვიცით არტელშჩიკის ერთი თავდამსხმელთაგანი ანთიძე შეიპყრეს, მეორე კი მიიმალა. მილიციის უფროსმა ფაჩულიამ გა-

მოარკვია, რომ მეორე მძარცველი იყო შალვა ვასილის ძე მახარაძე მცხოვრები არაგვის ქ., № 25, სადაც ბ. ფაჩულიას განკარგულებით დაყენებული იყო საიდუმლო ყარაული. 23 აპრილს, მახარაძე თითონ გამოცხადდა მილიციაში და განუცხადა ბ. ფაჩულიას, რომ მოტაცებული ფული არის მის ბინაზე. ბინაზე მართლაც აღმოჩნდა პორთფელი 20,000 მან. ფულით და იმავე თანხის ფულიან საბუთებით. შალვა მახარაძე დაპატიმრებულია.

შინაგან საქმეთა მინისტ. განკარგულებით სისხლ. სამ. მილიციის უფროსი ბ. ფაჩულია 23 აპრილს ბათუმში გაემგზავრა.

23. აპრილს ჟუკოვსკისა და პეტრე დიდის ქ. კუთხეში უცნობმა ბოროტგამზრახველმა მარჯვენა ხელში დასჭრა შინ. საქ. სამინ. არსებ. განსაკუთ. რაზმის უფროსის თანაშემწე ა. ჩიკვაიძე. ბოროტგამზრახველი მიიმალა. მილიცია ზომებს ღებულობს მის აღმოსაჩენათ.

ტფილისის სასამ. პალატის პროკურორმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ ტფილისის ხაზინაში ხდება ბოროტმოქმედება. მილიციის უფროსის თანაშემწემ გრ. ლორთქიფანიძემ გამოარკვია, რომ ბოროტმოქმედება არის 180000 მან. მიწვიეს მილიციაში მოლარე პლატონ საყვარელიძე, და ბუღალტერი დავით ჭურდოვანიძე, რომელთაც ეს ფული შეიტანეს სისხლ. სამ. მილიციის სალაროში.

ბიულეტენი
საქარ. ფიზ. ობსერვატორიის
ტფილისი, 23 აპრილი 1920 წ.

ნაშუად. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 728.4; ჰაერის ტემპერატ.: 20.7; შეფარდებ. სინოტ. %: 48; მოღრუბლ.: 4; ქარი; SE 5; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 46.2; ბუნებრივ.: 44.2.

ხალამ. 9 საათ.: ჰაერის წოლა მმ.: 729.5; ჰაერის ტემპერ.: 13.1; შეფარდებ. სინოტ. %: 91; მოღრუბლ.: 10; ქარი: NW 1; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 16.7; —ბუნებრივ.: 15.0 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 23 აპრილი: 15.9; ნორმალი: 13.1; მაქსიმალი: 21.4; მინიმალი: 11.9.

დილ. 7 საათ. 24 აპრილი. ჰაერის წოლა მმ.: 735.4; ჰაერის ტემპერ. 5.4; შეფარდებ. სინოტივ. %: 89; მოღრუბლ.: 10; ქარი: SE 5; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 8.8; ბუნებრივ.: 8.5; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 15.0 შენიშვნა:—

წვიმა საღამ.. ღამ., დილ.

დილ. 7 საათ., 23 აპრილი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ფოლოვა.
ტფილ.[1]	13.9	12	1	53	—
ბორჯომი	5.8	5	—	—	—
ფოთი	15.7	11	—	E 2	0
სოხუმი	16.7	10	—	0	0
ზაგარი	13.1	11	—	—	0

შენიშვნა: [1]) წვიმა საღამ., ღამ.

განცხადებანი

დაიკარგა კერძო ლომბარდის ბილეთი № 87783—50 მანეთის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ). 3—3

სილვესტრ ვასილის ძე კვაიჭაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ყიფიანის ქ., № 13. 752 3—3

დაკარგულია სასურსათო ბარათი გაცემული შრომის სამინისტროს, მუშათა მაგიდიდან, მაქსიმე ზაქარიას ძე გაბაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

დაკარგე სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოწმობა № 32 მოცემული მესამე კომისარიატიდან 16 მარტს, ეპოლონ იესეს ძე თოდრიას სახელზე, რომელსაც ვთვლი დღეიდან გაუქმებულათ. 750 3—3

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა პეტრეს ასული კუზნეცოვის სახელზე, მიღებული ტფ. სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 743 3—3

დაიკარგა პასპორტი სალომე დიმიტრის ასული ჩერქეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. პასპორტში მოხსენებული არიან შვილები ელენე და ნინო. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 744 3—3

დაიკარგა პასპორტი № 300 აკაკი ამაშუკელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 712 3—3

დაიკარგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა მიცემული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ბებოილიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 693 3—3

დაიკარგა სალექციო წიგნაკი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან მიღებული ნადეჟდა სერგის ასული ჰეჰინაძისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 697 3—3

დაკარგულია უვადო პასპორტი № 489 მიღებული ქ. კანლოვის 1 კომისარიატიდან 1918 წ. 1 თებერვალს და მოწმობა იურიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაქულტეტის ოთხი კურსის დამთავრების № 4562 ალექსი ფედოტის ძე ორლოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 698 3—3

დაკარგულია კონსტანტინე ჩარკვიანის, ელიაროვის ქუჩაზე № 7, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 700 3—2

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 357, ანასტასია გოგიჩევას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 705 3—2

დაიკარგა ქუჩაზე ხილით ვაჭრობის ნებართვა, ქიარიმ მალმედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან. ვაუქმებულათ ჩაითვალოს. 707 3—2

დაიკარგა პასპორტი, ალექსანდრე გრიგოლის ძე სარიბეკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ., ორი ვექსილი 5.000 მან. არტაშ არიუთინოვის ხელმოწერილი და ქართული კლუბის საწევრო ბილეთი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 745 5—2

მინდობილობა, მიცემული მარიამ იოსების ასულის გარსევანიშვილის მიერ ოქრო ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილისადმი და დამტკიცებული ცხინვალის უნოტროსი ნოტარიუსის მიერ 14 აპრილს 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 772 3—1

საჯალდებულო დადგენილება

ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული 1920 წ. 5 აპრილის სხდომაზე, სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

1) ვაჭრობა, როგორც ნარდათ, ისე ნაჭრობით, ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში სწარმოებს დღეში 8 საათს.

2) კვირაობით და დამფუძნებელ კრების მიერ დეკრეტით ცნობილ უქმეებში ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იყოს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის სავაჭროები, რომლებიც ვაჭრობენ პურით, ხორცით, თევზეულობით, ძეხვით და მწვანილეულობით, რომელთაც უფლება აქვთ კვირა-უქმეებს ივაჭრონ შუადღის 12 საათამდე, რისთვისაც მომუშავეთ ეძლევათ განსაკუთრებული გასამრჯელო ერთ ნახევარით მეტი დღიური ხელ-ფასის ნორმისა.

შენიშვნა: კვირაში ერთი დღე იქმნას ცნობილი ყველასათვის სავალდებულოთ დასვენების დღეთ და ამ დღეთ კვირა ჩაითვალოს.

3) იმ სავაჭრო დაწესებულებებშა, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, თევზეულობათ და მწვანილეულობით ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულში (1 მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე) დილის 6 საათიდან 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე; ზამთარში (1 ოქტომბრიდან 1 მაისამდე) დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან 5 საათამდე.

შენიშვნა: თევზეულობით მოვაჭრეთ უფლება აქვთ აწარმოონ ვაჭრობა განუწყვეტლივ იმ პირობით, თუ მომუშავენი შეცვლილნი იქმნებიან მომუშავეთა მეორე წყებით და სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სასტიკი კონტროლით.

4) სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც ვაჭრობენ ნარდათ ხილით და მწვანილეულობით აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულობით დილის 4 საათიდან 9 საათამდე და 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ზამთრობით: დილის 6 საათიდან 11 საათამდე და შუადღის 1 საათიდან 4 საათამდე.

5) საჩაიებში საკანდიტროებში და ყავახანებში ვაჭრობა სწარმოებს ზაფხულობითაც და ზამთრობითაც დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

6) წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ, ვაჭრობენ საერთო წესის თანახმათ დღეში 8 საათს.

7) ოქრომჭედელთ, თამბაქოთი მოვაჭრეთ, ავეჯეულობით, რკინეულობით და სხვა ნივთებით მოვაჭრეთ, ფართლეულობით და გალანტერეული ნივთებით ნარდათ მოვაჭრეთ უფლება ეძლევათ ივაჭრონ განუწყვეტლივ, თუ მომუშავენი თანახმანი იქმნებიან, იმ პირობით, რომ სამუშაო დრო 8 საათზე ნაკლებ განისაზღვრებოდეს.

8) ყველა დანარჩენი დაწესებულებანი აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდან $6^1/_2$ საათამდე. ზამთარში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4 საათ. 6 საათამდე.

9) ყოველ გვარი მუშაობა და ვაჭრობა სავაჭრო დაწესებულებაში და მათ კანტორებში შაბათობით თავდება ნაშუადღევის 2 საათზე.

10) მაღაზიების კანტორებში მუშაობა ორი საათით გვიან იწყება და გრძელდება 6 საათს.

11) სავაჭრო დაწესებულებაში მუშაობის შეწყვეტამდე 15 წუთით ადრე შესავალი კარები უნდა იხურებოდეს და კარებზე იკიდებოდეს პლაკატების წარწერით: „მაღაზია დაკეტილია".

შენიშვნა: სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან მაღაზიების შიგნით გამოსაჩენ ადგილას გამოაკრან პლაკატი, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს ვაჭრობის დაწყების და გათავების დრო, აგრეთვე მოწოდება მოქალაქეთადმი, რომ მათ დახურვის დროს დასტოვონ მაღაზია.

12) ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების 20 მუხლით.

დედანთან სწორია. ქალაქის საბჭოს კანცელარიის საქმისმწარმოებელი **აკ. ტყემალაძე.**
161 3—1

საალდეგულოდ
ამიერ-კავკასიის საზოგადოება

იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან

ხ. ის გათოვმოი საგითუმო (оптовый) საწყობს და კანტორას

მედიკამენტების პირველი ტრანსპორტი უკვე

მიღებულია საუკეთესო ფაბრიკებიდან.

შეკვეთა დროებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათომი, სავაჭრო შესახვევი, № 6. ტფილისი, განოვის ქ., № 7.
746 3—2

ქართველ მოვალეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა

იწვევს კავშირის წევრთა

საზოგადო კრებას

25 აპრილს ამა წელს დღისით 12 საათზედ კავშირის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 8.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. საორგანიზაციო კითხვები. 2. წევრთა არჩევა გამგეობაში. 3. საერთოდ მუსიკალურ და საოპერო საქმის დაყენება საქართველოში. ვინაიდან კითხვები ფრიად საყურადღებოა, ვსთხოვ ყველა კავშირის წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. 765 3—2

გაიცემა იჯარით საწყობებისთვის
ათას საქონზე მეტი ადგილი

დიდი მთავრის ქ., № 24,

სადაც იყო შეშის და ხის მასალის საწყობი.

პირობების შეტყობა შეიძლება 9—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში ქარვასლის და ელექტრონის კანტორაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 5 (ყოფილი თავად-აზნაურობისა).
445

ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკი ქ. ფოთში

ფინანსთა მინისტრის მიერ 9 აპრილს 1920 წლის დამტკიცებულ წესდების თანახმათ უკვე დაიწყო მოქმედება 19 ამა აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ წესდებით ნებადართულ, საბანკო ოპერაციებს.
457 3—1

გამგეობა ქართული აქციონერულ ბანკისა ქ. ფოთში

ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 2 ამა მაისს, დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების

წევრთა ჩვეულებრივი კრება

შემდეგი საკითხების გასარჩევათ:

1. გასული წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
2. ამა 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩევა სამი სარევიზიო კომისიის წევრების და სამი მათი კანდიდატების.
4. სხვა და სხვა კითხვები.

თუ რაიმე მიზეზით, დანიშნულ დღეს, 2 მაისს, პირველი კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში, მეორე კრება, ინიშნება კვირას, 16 ამავე მაისს, იმავე დროს, იმავე ალაგზე ზეშოაღნიშნული კითხვების განსახილველად, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 447 2—2

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**